

საკანონმდებლო სიახლეები

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სისტემა საქართველოში

დავით ბაზერაშვილი*

ნინო ჩოხელი*

1. შესავალი

ბოლო ათი წლის განმავლობაში საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებული ძალისხმევაა მიმართული დააშაულებრივი საქმიანობიდან (იარაღით, ნარკოტიკული ნივთიერებებით, ადამიანებით ვაჭრობიდან და სხვ.) მიღებული ფულადი სახსრების არა მარტო შენიღბვის, არამედ ამ სახსრებით ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. აღნიშნული საკითხი საქართველოსთვისაც მეტად აქტუალურია და ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: საქართველოში, სადაც, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ჩრდილოები ეკონომიკის წილი დაახლოებით 60%-ს შეადგენს, ძალზე მწვაცედ დგას გადასახადებისაგან თავის არიდებისა და კონტრაბანდის პრობლემა; ქვეყანაში მაღალია კორუფციის დონე; გარდა ამისა, საქართველო ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მდებარეობს, სადაც იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მარშრუტი გადის. ყოველივე ეს დიდძალი უკანონო ქონების დაგროვების წყაროა, რისი შემდგომი ეტაპი ამ ქონების შენიღბვა, მისთვის კანონიერი სახის მიცემაა. ამასთან, დიდია ალბათობა, რომ ასეთი ქონება კვლავ დანაშაულის ჩასადენად იქნეს გამოყენებული. მიუხედავად ამისა, ძნელია იმის თქმა, რომ ჩვენს ხელისუფლებას კარგად გაეცნობიერებინოს ფულის გათეთრების ფენომენიდას საფრთხე, რომელსაც იგიუქმნის ეროვნულ ეკონომიკას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და ზოგადად სახელმწიფოს. ამდენად, ამ საკითხის მოწესრიგებისადმი სახელმწიფოს ინტერესი (რომელიც „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“) კანონის მიღებით გამოვლინდა. ჩვენი ხელისუფლების დამოუკიდებელი, თვითმყოფადი პოლიტიკური ნების წაყოფი არ ყოფილა. ისევე, როგორც მრავალი სხვა პროგრესული იდეა, აღნიშნული საკითხიც დღის წესრიგში დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ზეგავლენით დაისვა. კერძოდ, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პრევენციული საკანონმდებლობაზის შექმნა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება როგორც ევროპის საბჭოს,¹ ისე საერთაშორისო სავალუტი ფონდის მოთხოვნა იყო. გარდა ზემოაღნიშნულისა, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მექანიზმების დანერგვის პროცესი გარეკულწილად დააჩქარა იმ გარემობამ, რომ საქართველოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF)² მიერ შემუშავებული ე.წ. არაკონკრიტული (არამოთანამშრომლე) ქვეყნების სიაში³ მოხვედრა დაემუქრა.

* „ჯეპლაკის“ ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

¹ საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციას, „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, მიღებისა და კონფისიციის შესახებ“, რომლის თანახმადაც იყსრა ვალდებულება, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შექმნა პრევენციული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი ღონისძიებები გაეტარებინა.

² ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF) არის საერთაშორისო მთავრობა-თაშორის ორგანიზაცია, რომელიც 1989 წელს დააფუძნა G-7-ის სამიტმა და რომლის მთავარი მიზანია შემუშავოს და გააგრცელოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

³ FATF-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინციდენტივა იმ ქვეყნებისა და ტეროტორიულების განსაზღვრაა, სადაც ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სისტემებს სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ, რაც ხელს უშლის საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში. არაკონკრიტული ქვეყნების შედეგად FATF-ის წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა შეზღუდონ, მეცნიერები კონტროლის ქვეშ მოაციონ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საერთოდ აკრძალონ ასეთ ქვეყანასთან ფინანსური ოპერატორების (გარიგებების) განხორციელება და, შესაბამისად, არაკონკრიტული ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტები იზოლაციაში აღმოჩნდებან.

საკანონმდებლო სიახლეები

კანონპროექტი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ სპეციალური უწყებათაშორისი კომისიის მიერ მომზადდა. კანონპროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოროგორცევრობის საბჭოს 1990 წლის „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ კონვენციის (სტრასბურგის კონვენცია) დებულებათა მოთხოვნები, ისე FATF-ის ორმოცი რეკომენდაცია (1996),⁴ და ევროპული კავშირის 1991 წლის 10 ივნისის 91/308/EEC დირექტივა (ევროპული კავშირის დირექტივა) ფინანსური სისტემების ფულის გათეთრების მიზნებისათვის გამოყენების აღკვეთის შესახებ. თუმცა გადაჭრებული იქნებოდა იმის თქმა, რომ კანონში ზედმინერით აისახა ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტებით დადგენილი სტანდარტები. მეტიც, ზოგიერთი პრინციპული საკითხი საერთოდ უგულებელყოფილ იქნა. შედეგად მივიღეთ კანონი, რომელიც საქმიანო „შერბილებულ“ ფულის გათეთრების სანინააღმდეგო რეჟიმს ქმნის, უტოვებს რა „ფულის გამოყენებას“ კანონით განსაზღვრული მექანიზმებისათვის გვერდის ავლის უამრავ შესაძლებლობას. ამასთან, უყრადღების გარეშე რჩება ის სისხლისამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც აუცილებელია გამოვლენილი სამართალდარღვევებისათვის ადეკვატური პასუხისმგებლობის დაწესებისა და შემდგომი დანაშაულის პრევენციისათვის. შესაძლოა, ამის მიზეზი ხელისუფლების ის მიდგომა იყოს, რომლის მიხედვით განვითარებადი ეკონომიკის პირობებში საქართველოს არ აქვს იმ ფუფუნების უფლება, რომ ზედმეტად სელექციურად მოეკიდოს ქვეყანაში ინვესტიტორებული კაპიტალის წყაროებს, ან ნაადრევად მიიჩნიოს საქართველოში ისეთი ახალი ინსტიტუტების შემოღება, რომლებიც თვით დიდი სამართლებრივი ტრადიციების ქვეყნებშიც ახლა მკვიდრდებიან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, ამგვარი მიდგომა არაშორსმჭვრეტელურა და არ ითვალისწინებს, რომ ამ პრობლემაზე დაგვიანებული რეაგირება ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის გაძლიერებას. არაეფექტური ფულის გათეთრების სანინააღმდეგო სისტემის პირობებში კრიმინალური დაჯგუფებები ადვოლად აღწევენ ფინანსურის მისტიტუტებში და შესაძლოა, ეკონომიკის მსხვილი სექტორები მათი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდეს. ქვეყნის კომერციული და ფინანსური სექტორები კიროდესაც ორგანიზებული დანაშაულის ზეგავლენის ქვეშ მყოფად აღიქმება, ეს ვნებს არა მარტო ცალკეული ფინანსური დაწესებულებების რეპუტაციას, არამედ იწვევს ქვეყნის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრ შემცირებას. საბოლოო ჯამში კი კრიმინალური სამყაროს გაძლიერება მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლის პროცესს.⁵

ქვემოთ შევწერდებით „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონით მოწესრიგებულ რამდენიმე ძირითად საკითხზე და იმ სისხლისსამართლებრივ მექანიზმებზე, ურომლისობდაც არაეფექტური იქნება სისტემა, რომელსაც ქმნის კანონი და მიუღწეველი დარჩება მიზანი, რომელზეც იგია ორიენტირებული. ამასთან, შევეცდებით, აღნიშნული პრობლემები მიმოვიზილოთ ამ სფეროში დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში.

⁴ FATF-ის მიერ 1990 წელს შემუშავებული ორმოცი რეკომენდაცია (რომელიც საფუძლიანად გადაისინჯა 1996 წელს) აყალიბებს ფულის გათეთრების სანინააღმდეგო ღონისძიებათა ძირითად ჩარჩოს, რომელიც უნივერსალური გამოყენებისაა. რეკომენდაციები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება და კანონის აღსრულება; ფინანსური სისტემა და მისი რეგულირება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

⁵ FATF-ის დოკუმენტი – „ძირითადი ფაქტები ფულის გათეთრების შესახებ“.

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ცნება

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი იძლევა უკანონო შემოსავლის ცნების განმარტებას. დეფინიციის თანახმად, ეს არის ქონება, რომელიც პირმა „მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (მათ შორის, იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულის, ტრეფიკინგის, ტერორიზმის) ჩადენის შედეგად, გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაულების ჩადენის შემთხვევებისა“. აღნიშნული დებულება, პირველ რიგში, იმით იქცევს ყურადღებას, რომ იგი არ შეესატყისება სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, ანუ კანონი სრულად არ ასახავს იმ ქმედების ხასიათს, რომელიც დანაშაულადაა მიჩნეული და რომელი დანაშაულის გამოვლენის ხელშეწყობისა და აღკვეთისთვისაცაა იგი მიღებული.

სისხლის სამართლის აღნიშნული ნორმის შემუშავებისას არჩეულ იქნა ე.წ. „ყველა დანაშაულის“ მიღვომა, ანუ ამ მუხლით კვალიფიცირდება იმ ქონების ლეგალიზაცია, რომელიც მიღებულია ნებისმიერი უკანონო საქმიანობის შედეგად. მართალია, ეს უკანასკნელი მუხლიც თავისთავად დახვეწას საჭიროებს (ვინაიდან ცნება „უკანონო“ საქმაოდ ფართო მნიშვნელობისაა და, გარდა სისხლისამართლებრივი დანაშაულისა, მოიცავს, აგრეთვე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას), მაგრამ თუკი გამოვალთ იმ პრეზუმუციიდან, რომ ცნება „უკანონოში“ სისხლის სამართლის კოდექსის ავტორებმა დანაშაულებრივი იგულისხმეს, ამგვარი მიღვომა საქმაოდ პროგრესულად უნდა ჩაითვალოს. FATF-ი მოუწოდებს ქვეყნებს, ფულის გათეთრების ე.წ. „პრედიკატული სამართალდარღვევის“ განსაზღვრისას მითითება გაკეთდეს ყველა დანაშაულზე⁶ და მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყანა ამ მიღვომას იზიარებს (თუმცა ასევე არსებობს განსხვავებული მიღვომაც, როცა ძირითად დანაშაულთა წრე გარკვეული კრიტერიუმებითაა შეზღუდული, მაგ. დანაშაულისათვის გათვალისწინებული პატიმრობის ვადა).

ზემოაღნიშნულის მიხედვით, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი, რომელიც, ერთი მხრივ, თითქოს ცდილობს განმარტოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული დებულება, როცა მიუთითებს, რომ უკანონოა შემოსავალი, რომელიც პირმა მიიღო „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის... ჩადენის შედეგად“, მეორე მხრივ, გაუმართლებლად ზღვადაცს ამ დანაშაულთა წრეს, როცა ამ ნორმის მოქმედების სფეროდან გამორიცხავს საგადასახადო და საბაჟო სფეროებში ჩადენილი დანაშაულების შედეგად მიღებულ ქონებას. საქართველოში ასებული გადასახებისაგან თავის არიდებისა და კონტრაბანდის მასშტაბების გათვალისწინებით აღნიშნული შეზღუდვა, ჩვენი აზრით, არამიზანშეწონილია, მითუმეტეს, რომ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003 წლის ვერსია) თანახმად, კონტრაბანდა შეტანილა ძირითად დანაშაულთა სავალდებულო სიაში⁷.

ამ კონტექსტში, აგრეთვე, გაუმართლებლია კანონის ამავე მუხლში ფრჩხილებში მოცემული ჩამონათვალი – იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ტერორიზმის დანაშაულები. თუკი ეს იმდაგვარად უნდა იქნეს გაეგებული, რომ პრედიკატულ დანაშაულთა წრე, რომელთან კავშირის ეჭვიც განაპირობებს კონტროლის რეზიმის ამოქმედებას, მხოლოდ ამ დანაშაულებით შემოიფარგლება, ამგვარი შეზღუდვა მიუღებელია და FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის ძირითად დანაშაულთა სავალდებულო სიის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ასახავს.

⁶ სტრასბურგის კონვენციის 1(ე) მუხლის თანახმად, „პრედიკატული სამართალდარღვევა“ არის ნებისმიერი დანაშაული, რომლის შედეგებადაც ნარმოშობილი შემოსავალი შესაძლოა გახდეს წინამდებარე კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის (ფულის გათეთრების დანაშაულის აბიექტი).

⁷ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003) განმარტებითი შენიშვნების მე-13 რეკომენდაციის განმარტებითი შენიშვნა.

⁸ იქვე, 1-ლი რეკომენდაცია.

უფრო მართებულია ვიციქროთ, რომ ეს ჩამონათვალი მხოლოდ თვალსაჩინოების მიზნითაა, მაგალითის სახით არის მოტანილი და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ კანონისათვის საგადასახადო და საპაური დანაშაულები არ განიხილება როგორც პრედიკატული დანაშაული. კანონში მოცემული ხაზგასმა, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია, რადგან, ჯერ ერთი, იგი არ შედის კანონის რეგულირების სფეროში, მეორე, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არც ისე ხშირად გამოყენებადი და გამართლებული ხერხია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონით გათვალისწინებული კონტროლის განხორციელებისას მის განმახორციელებელთათვის უცნობია, თუ კონკრეტულად რომელი დანაშაულის მეშვეობით არის მოპოვებული ლეგალიზებადი ქონება. გარიგების საეჭვოობასაც ხომ ის ინვენს, რომ უცნობია ქონების წარმოშობის წყარო. შესაძლოა, არსებობდეს მხოლოდ ეჭვი, რომელიც გადამოწმებასასაჭიროებს და, ცხადია, გაუმართლებელი იქნებოდა კონტროლის შენწვეტა იმ მოტივით, რომ ეჭვის საგანია საბაჟო და საგადასახადო დანაშაული. აღნიშნული მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ კანონმდებლის მიერ მაგალითის სახით მოყვანილი დანაშაულებით (მაგალითად იარაღითა და ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობისას) მიღებული შემოსავლისათვის ნაკლებ სავარაუდოა, დამაშავე იხდიდეს კანონიერ გადასახადებს და ექვემდებარებოდეს საბაჟო კონტროლს.

კანონში სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლისაგან განსხვავებულადაა, აგრეთვე, მოწესრიგებული უკანონი შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულის ობიექტური მხარეც (მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც კოდექსის 194-ე მუხლი და არც კანონის აღნიშნული დებულება სრულად არ ასახავს სტრასბურგის კონვენციაში მოცემულ ფულის გათეთრების დანაშაულის ობიექტურ მხარეც⁹. მაგალითად, კანონი არ მოიცავს სტრასბურგის კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ისეთ ფიზიკურ ელემენტებს, როგორიცაა: უკანონო ქონების ნამდვილი ბუნების, ადგილმდებარეობის, განთავსებისა და მოძრაობის დამალვა ან შენილბვა (თუმცა ყველა ეს ქმედება გათვალისწინებულია კოდექსის 194-ე მუხლში), აგრეთვე უკანონი ქონების ფლობა (ეს უკანასკნელი არც კოდექსით და არც კანონით არაა გათვალისწინებული).

კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი მიუთითებს, რომ უკანონი შემოსავლის ლეგალიზაციად ჩაითვლება, აგრეთვე, ამ პუნქტში ჩამოთვლილ ქმედებათა მცდელობაც. სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის გათვალისწინებით, რომლის თანახმად დანაშაულის ჩასადენად მიმართული ნებიმიერი ქმედება დანაშაულად კვალიფიცირდება და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ინვენს, კანონში დანაშაულის მცდელობაზე ამგვარი მითითება სრულიად ზედმეტია.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, კოდექსისაგან განსხვავებით, კანონი აკონკრეტებს, რომ ქონება დანაშაულის ჩამდენისათვის წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავალი უნდა იყოს. ამგვარად, კანონი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრავს დანაშაულის სუბიექტის განზრახვას და გამორიცხავს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით ჩადენილი იმავე ქმედებისათვის. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლსაც, რომელიც არ აკონკრეტებს ბრალის ფორმას და ამდენად გამორიცხავს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით ჩადენილი იმავე ქმედებისათვის¹⁰, ანალოგიურ სამართლებრივ შედეგამდე (კონსტრუქციამდე) მიყვავართ.

„უკანონი შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი, როცა იგი იძლევა დანაშაულის – უკანონი შემოსავლის ლეგალიზაციის – დეფინიციას, მოკლებულია სამართლებრივ და ლოგიკურ დატვირთვას, რადგან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (სსკ-ის მე-7 მუხლი) და, შესაბამისად, როდესაც დგება პასუხისმგებლობის

⁹ სტრასბურგის კონვენციის მე-6 მუხლი.

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში“.

საკანონმდებლო სიახლეები

საკითხი, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ კოდექსით მოცემული დეფინიციით. შესაბამისად, ვინაიდან კანონის განმარტება ავინწროებს კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის დეფინიციას, არ იწვევს არანაირ შედეგს სამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. იგი, უკეთეს შემთხვევაში ყოველგვარი სამართლებრივი დატვირთვის გარეშე, იმეორებს კოდექსის დებულებებს, ანუსაფუძვლოდ ზღუდავს იმ მექანიზმების მოქმედების არეალს, რომელსაც თავად ითვალისწინებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთისათვს (აქ შეცდომა იქნებოდა, ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“, როგორც ზემოაღნიშული კანონით გათვალისწინებული რაიმე განსხვავებული ფენომენი).

3. კანონის მოქმედება პირთა წრის მიხედვით (მონიტორინგის განმახორციელებელი პირები)

უკანონი ფულის ლეგალიზაციის აღკვეთის ლონისძიებებმა რეალური და ქმედითი შედეგი რომ გამოიღოს, მეტად მნიშვნელოვანია, სწორად განისაზღვროს პირთა ის წრე, რომელზეც კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის¹¹ ვალდებულება ვრცელდება. კანონის მე-3 მუხლი იძლევა მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტების ჩამონათვალს, კერძოდ ესენი არიან:

- კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებები;
- საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები;
- სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელები;
- ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომზყობი პირები;
- ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან, ასევე ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები;
- საბაჟო ორგანოები;
- გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები;
- ნოტარიუსები;
- საფოსტო ორგანიზაციები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ფულის გათეთრების ტიპოლოგია საფუძვლიანად არავის შეუსწავლია, უნდა ვივარაუდოთ, კანონის ავტორებმა პირთა წრე საერთაშორისო სტანდარტებსა და დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით განსაზღვრეს.

უდავოა, და ამას ფულის გათეთრების ტიპოლოგიათა შესახებ FATF-ის მოხსენებებიც ადასტურებს, რომ ფულის გათეთრების მიზნებისათვის გამოყენების ყველაზე დიდი რისკი საფინანსო ინსტიტუტებს ახასიათებს. ამასთან, საფინანსო ინსტიტუტის ცნება საქმაოდ ფართოა და გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების ბროკერებისა, მრავალ ისეთ ინსტიტუტს მოიცავს, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგალითად: კოლექტური საინვესტიციო დანესებულებები, საფინანსო სალიზინგო კომპანიები, ფულადი გზავნილების დანესებულებები და მრავალი სხვა ინსტიტუტი, რომელთა საქმიანობაც ძირითადად ამა თუ იმ ფინანსური მომსახურებით გამოიხატება. კანონში არსებული ამგვარი ვაკუუმი გასაგებიცა, ვინაიდან საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარება არ შეესაბამება დასავლეთის ფინანსური ბაზრების განვითარების დონეს და კანონი ვერ მოიცავს ბაზრის არარსებულ სუბიექტებს. თუმცა ამ სფეროს სწრაფი განვითარების პირობებში გამორიცხული არ არის ახლო მომავალში ასეთი დაწესებულებების გამოჩენა ჩვენს საფი-

¹¹ კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტით, მონიტორინგი არის კანონით გათვალისწინებული პირების მიერ მონიტორინგს დაქვემდებრებული გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია, გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენა.

საკანონმდებლო სიახლეები

ნანსო მომსახურებათა ასპარეზზე , ხოლო კანონში არსებულმა ვაკუუმმა ისინი შესაძლოა ფულის გამოყენებული მიზანის მისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი უარყოფითი შედეგები და კანონის მოქმედების სფეროს გარეთ არ დარჩეს ისეთი საფინანსო საქმიანობები (უფრო დაუსებულებები), რომლებიც პოტენციურად ფულის გათეთრების მაღალი რისკის მატარებელი არიან, მიზანშენონილად მიგვაჩნია კანონში მონიტორინგის განმახორცილებელი პირების განსაზღვრისას მითითება არა სუბიექტებზე (კონკრეტულ იურიდიულ პირებზე), არამედ საქმიანობებზე გაკეთდეს. ამგვარ მიდგომას იზიარებს როგორც ევროპული კავშირის დირექტივა¹², ისე FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის 2003 წლის ვერსია¹³. FATF-ის შეფასებით, ფინანსური ინსტიტუტების საფინანსო საქმიანობებზე მითითებით განსაზღვრის უპირატესობა ისაა, რომ ამ შემთხვევაში უურადღება გამახვილებულია არა დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, არამედ იმაზე, თუ რა საქმიანობას ეწვეა (რას აკეთებს) შესაბამისი პირი. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს გავრცელების უფრო ფართო სფეროს, ვიდრე დაწესებულებების დასახელებათა მითითება და მინიმუმად დაყავასიმისა საფრთხე, რომ ესათუ ის მნიშვნელოვანი საფინანსო საქმიანობა FATF-ის რეუიმის გარეთ დარჩება.¹⁴

იმ ქვეყნებში, სადაც ფულის გათეთრების დანაშაულს რამდენიმე ათწლეულის ისტორია აქვს და სადაც საფინანსო ინსტიტუტებში ფულის გათეთრების სანინააღმდეგო მექანიზმები დაინერგა და ეფექტუანად ამუშავდა, ფულის გამოყენების სახსრების შენიღბვის აღტერნატიული გზების ძიება დაიწყეს. კერძოდ, ჩამოყალიბდა ფულის გათეთრების ახალი მეთოდები და სულ უფრო ხშირია მიზნისათვის არასაფინანსო დაწესებულებებისა და პროფესიების გამოყენების შემთხვევები. FATF-ის ექსპერტთა მოხსენები ფულის გათეთრების ტიპოლოგიების შესახებ უკვე რამდენიმე წელია მიუთითებს ფულის გათეთრების სქემებში პროფესიონალური მომსახურების მიმწოდებელთა და ზოგიერთი არასაფინანსო სექტორის მზარდიროლის შესახებ. იურისტები, ნოტარიუსები, ბუღალტრები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომელიც ფინანსურ რჩევებს იძლევინ, ფულის გათეთრების რთული სქემების აუცილებელ ელემენტებად იქცნენ.¹⁵ აგრეთვე გამოიკვეთა ფულის გამოყენებელთა ინტერესი კაზინოებისა და სხვა აზარტული თამაშების დაწესებულებათა, უძრავი ქონებით მოვაჭრების, ძვირფასი ქვებისა და ლითონების დილერთა მიმართ.¹⁶ ამგვარ ტენდენციებზე მსოფლიო თანამეგობრობის რეაგირებამაც არ დააყოვნა და როგორც FATF-მა, ისე ევროპულმა კავშირმა საპასუხო ზომების განხორციელება დაიწყო. შედეგად, 2001 წელს ცვლილებები შევიდა ევროპული კავშირის დირექტივაში, ხოლო 2003 წელს მიღებულ იქნა FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის ახალი ვერსია. ამ ორივე დოკუმენტით ფულის გათეთრების სანინააღმდეგო რეჟიმი (კლიენტის იდენტიფიკაციისა და საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშის წარმოადგენება) ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობასა და პროფესიულ მომსახურებაზე გავრცელდა.

როგორც კანონის მე-3 მუხლიდან ჩანს, ჩვენმა კანონმდებელმა ნანილობრივ გაითვალისწინა აღნიშნული მიდგომა და ზემოთ ჩამოთვლილ არასაფინანსო დაწესებულებათა და პროფესიათა წარმომადგენლებიდან მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება დააკისრა მხოლოდ ლატარიტებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობ პირებს (უნდა ვივარაუდოთ, რომ მომგებიან თამაშებში კანონმდებელმა კაზინოც იგულისხმა); ძვირფას ლითონებითან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან, ასევე ანტიკარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირებსა და ნოტარიუსებს. რაც შეეხება იურისტებს, ბუღალტრებსა და სხვა დამოუკიდებელ კონსულტანტებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პროფესიული საქმიანობა ჩვენმა კანონმდებელმა

¹² იხ. დირექტივის 1(a) მუხლი.

¹³ იხ. FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003) განმარტებითი ლექსიკონი (Glossary), „ფინანსური დაწესებულების“ განმარტება.

¹⁴ FATF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი – „ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა“, 2002, 5.

¹⁵ FATF-ის 2001 წლის მოხსენება ფულის გათეთრების ტიპოლოგიების შესახებ.

¹⁶ იხ. FATF-ის 1996-1997 წლების მოხსენება ფულის გათეთრების ტიპოლოგიების შესახებ.

საკანონმდებლო სიახლეები

ფულის გათეთრების კუთხით ნაკლებრისკიანად მიიჩნია. ამგვარი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, ვინაიდან ამ სახის კონსულტანტების მონაწილეობა ფულის გათეთრების ყველაზე თანამედროვე, რაფინირებული სქემებისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო საქროველო, ალბათ, ამაშიც ისევე, როგორც მრავალ სხვა სფეროში, ჩამორჩება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს და ჩვენი „გამთეთრებლებიც“, სავარაუდოდ, კრიმინალური ქონების შენიდბევის უფრო მოძველებულ, მარტივ მეთოდებს იყენებენ. თუმცა არც ამის ხელალებით მტკიცება იქნება სწორი, ვინაიდან, როგორც ითქვა, საქართველოში ფულის გათეთრების ტექნიკა და მეთოდები შესწავლილი არ არის.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, შესაბამის პირებზე მონიტორინგის ვალდებულების დაკისრება დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეჟიმის წარმატებულ ფუნქციონბას, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ეს პირები თავად იყვნენ ჩაბმული ფულის გათეთრების საქმიანობაში. ზოგიერთი მათგანის ფულის გათეთრების მიზნებისათვის გამოყენება კი, საერთოდ, ძნელად წარმოსადგენია მათიამ დანაშაულში თანამონაწილეობის გარეშე. მაგალითად, ლატარიებისა და გრანტების გამცემი ორგანიზაციების საშუალებით უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია ნაკლებად შესაძლებელია, თუ მას თავად ლატარიის მომწყობი ან გრანტების გამცემიარახორციელებს. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ არც FATF-ის ორმოცირეკომინდაცია და არც ევროპული კავშირის დირექტივა არ მიუთითებს აღნიშნულ საქმიანობებზე. ამდენად, ამ პირებისათვის მონიტორინგის ვალდებულების დაკისრება არაა დეკატურ ღონისძიებად მიგვაჩნია.

სწორედ ამიტომ FATF-ის ორმოცირეკომინდაცია ხაზსგასმით აღნიშნავს, რომ მისი მოქმედების სფეროში შემავალ პირთა საქმიანობა ადეკვატური რეგულირებისა და ზედამხედველობის საგანი უნდა იყოს. საფინანსო დაწესებულებებთან დაკავშირებით FATF-იმუთითებს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ მარეგულირებელი ზომები, რათა თავიდან აიცილონ კრიმინალებისა და მათი დაჯგუფებების მიერ საფინანსო დაწესებულებების საკონტროლო ან მნიშვნელოვანი წილის ფლობა, ან ამ დაწესებულებათა მენეჯმენტის მათ ხელში მოხვედრა.¹⁷ ჩვენს კანონმდებლობაში საკითხები მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია საბანკო და ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით, რომლებიც მკაცრ სტანდარტებს აწესებენ ბანკებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეთა მენეჯერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ (ბანკების შემთხვევაში ეს სტანდარტები, აგრეთვე, მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერებზეც ვრცელდება). რაც შექება სადაზღვევო საქმიანობას, კანონმდებლობაში ამ მხრივ სერიოზული ხარვეზები აღინიშნება – არ არსებობს არანაირი კანონით დადგენილი კრიტერიუმი, რომელსაც სადაზღვევო კომისიის ხელმძღვანელი თუ აქციონერი უნდა აკმაყოფილებდეს და, შესაბამისად, ეს სფერო ფულის გათეთრების მიზნებისათვის გამოყენებისაგან სრულად დაუცველია.

FATF-ის ორმოცირეკომინდაცია მსგავს მარეგულირებელ და საზღადამხედველო მოთხოვნებს აწესებს, აგრეთვე, არასაფინანსო დაწესებულებების მიმართაც. კერძოდ, ყველა არასაფინანსო დაწესებულება და იმ პროფესიის წარმომადგენლები, რომლებზეც FATF-ით დადგენილი რეჟიმი ვრცელდება, უნდა ექვემდებარებოდნენ მონიტორინგის ეფექტუალურობის სისტემას – იგი უზრუნველყოფს მათ მერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო მოთხოვნების დაცვას. ამ ფულებისა შეიძლება ახორციელებდეს როგორც ხელისუფლების ორგანო, ისე თვითონეგულირებადი დაწესებულება იმ პირობით, რომ ასეთი დაწესებულება უზრუნველყოფს მისი წევრების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებების შესრულებას.¹⁸

არასაფინანსო დაწესებულებაში FATF-ი გამოყოფს კაზინოებს და მათ მიმართ დამატებით მოთხოვნებს აწესებს. კერძოდ, კაზინოები სულ მცირე უნდა ექვემდებარებოდეს ლიცენზირებას და კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი სამართლებრივი თუ

¹⁷ FATF-ის ორმოცირეკომინდაციის (2003) 23-ე რეკომენდაცია.

¹⁸ იქვე, 24(b)-ე რეკომენდაცია.

საკაონებლებლო სიახლეები

მარეგულირებელი ზომა, რათა თავიდან აიცილონ დამანაშავეთა და მათ თანამოაზრეთა მიერ კაზინოების საკონტროლო ან ნიშვნელოვანი წილის ბენეფიციარული მესაკუთრეობა, მენეჯერული ფუნქციების ფლობა და კაზინოების მართვა.¹⁹

ცხადია, ისეთი საკითხები, როგორიცაა დაწესებულების ლიცენზირება და მათი მესაკუთრების თუ მენეჯერების მიმართ გარკვეული სტანდარტების დაწესება, განხილული კანონის მოწესრიგების საგანი არ არის, მაგრამ იმისათვის, რომ კანონმა საჭირო შედეგი გამოიღოს და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მექანიზმები რეალურად და სრულფასოვნად ამოქმედდეს, უნდა შეიქმნას ისეთი სამართლებრივი ბარიერები, რომლებიც ხელს შეუშლიან საეჭვო რეპუტაციის პირებს, შეაღწიონ ზემოაღნიშნული დაწესებულებების მმართველობაში, ან გახდნენ ამ დაწესებულებათა მესაკუთრენი. წინააღმდეგ შემთხვევაში არარეალურია, რომ ველოდოთ საეჭვო გარიგებათა მონიტორინგს ისეთი დაწესებულებებისაგან, რომლებიც თავად იმყოფებიან კრიმინალური სამყაროს ზეგავლენის ქვეშ.

4. პირის იდენტიფიკაციის ღონისძიებები

საფინანსო დაწესებულების მიერ მომხმარებლის სათანადო შესწავლა, იდენტიფიკაცია ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სამართლებრივი რეჟიმის ქვაკუთხედია. ფულის გათეთრების მიზნებისათვის გამოყენების რისკის მქონე ყველა დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ადეკვატური კონტროლის მექანიზმი და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების მიერ მომხმარებლის კარგად გაცნობას. სწორედ ეს შინაარსი დევს საყოველთაოდ აღიარებულ და გავრცელებულ პრინციპში – „იცნობდე საკუთარ მომხმარებელს“ (*know your customer*), რომელსაც ყველა საფინანსო მომსახურების მიმწოდებელი მკაცრად უნდა იცავდეს, რათა შეეძლოს ისეთი ფინანსური პოერაციის ამოცნობა, რომელიც კონკრეტული მომხმარებლისათვის დამახასიათებელი (ტიპური) არ არის და, შესაბამისად, საეჭვოდ გამოიყენება, იქნიოს საჭირო ჩანაწერები და დოკუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს გამოძიების წარმოებას.²⁰

სავარაუდოა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპი იგულისხმა კანონმდებელმა კანონის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, რომლის თანახმადაც მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ვალდებული არიან მოახდინონ მათთან საქმიანი ურთიერთობებით დაკავშირებული პირის (მისი წარმომადგენლისა და მარნმუნებლის) იდენტიფიკაცია.²¹ თუმცა კანონის ამ დებულების ფორმულირება ეჭვს იწვევს იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად აქვს გაზრდებული კანონმდებელს ზემოაღნიშნული პრინციპის არსი, კერძოდ, ტერმინი – „საქმიანი ურთიერთობებით დაკავშირებული პირი“ – საკმაოდ ფართოა და, გარდა მომხმარებლებისა, მოცავს ყველა იმ პირს, რომლებთანაც შესაბამის დაწესებულებას რაიმე საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს (მათ შორის იჯარის, ნარდობის ან ნასყიდობის ხელშეკრულებებით წარმოშობილი ურთიერთობები). ამ მუხლის (იდენტიფიკაციის ვალდებულების) მოქმედების სფეროს ამგვარი გაფართოება სრულიად გაუმართლებელია და არც გვგონია, რომ კანონმდებელს ამგვარი სამართლებრივი შედეგის დადგომა ჰქონდა განზრახული.

ეჭვს იმის თაობაზე, რომ კანონმდებელმა კარგად ვერ გაიაზრა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული პრინციპი, – „იცნობდე საკუთარ მომხმარებელს“, – კიდევ უფრო აღრმავებს ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ბანკებს ავალდებულებს მოახდინონ საბანკო ანგარიშის გამხსნელი ყველა პირის, მისი გახსნისა ან განკარგვისათვის უფლებამოსილი ყველა წარმომად-

¹⁹ იქვე, 24(a)-ე რეემენდაცია.

²⁰ FATF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი – „ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა“, 2002, 9.

²¹ კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, პირის იდენტიფიკაცია არის ფიზიკური პირის ვინაობის დადგენა იურიდიული ძალის მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მეშვეობით ან/და იურიდიული პირის შექმნის იურიდიული საფუძვლების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა დადგენა მისი შექმნისა და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მეშვეობით.

საკანონმდებლო სიახლეები

გენლისა და იმ მესამე პირის იდენტიფიკაცია, რომლის სახელზეც იხსნება ანგარიში. საინტერესოა, რა იგულისხმება მონიტორინგის განმახორციელებელი დაწესებულების, ამ შემთხვევაში ბანკის, ვალდებულებაში, მოახდინოს მასთან საქმიანი ურთიერთოობებით დაკავშირებული პირის იდენტიფიკაცია, თუ არა იმ პირის იდენტიფიკაციის ვალდებულება, რომელიც ანგარიშს ხსნის ბანკში. ნუთუ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სწორედ ამ ურთიერთობებს არ არეგულირებს და თუ ასეა, რა საჭიროა მე-2 პუნქტი ამ ვალდებულების დაკონკრეტება ბანკებთან მიმართებით?

სიცხადე რომ შევიტანოთ აღნიშნულ საკითხში და გავერკვეთ, თუ ვისი, რა გარემოებებში და რა მოცულობით იდენტიფიცირების ვალდებულება უნდა დაეკისროს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს, საქმარისია მოვიშველიოთ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის 2003 წლის ვერსია, რომლის მე-5-მე-12 პუნქტები მთლიანად ეძღვნება „მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინებას“ (*customer due diligence*). FATF-ის თანახმად, ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა განახორციელოს მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების ღონისძიებები, მათ შორის მომხმარებლის ვინაობის იდენტიფიცირება და შემოწმება, როდესაც:

- ამყარებს საქმიან ურთიერთობებს;
- ახორციელებს ერთჯერად გარიგებას: (i) რომლის ღირებულება დადგენილ ზღვარზე მეტია²²; ან (ii) ახდენს საკაბელო გადარიცხვას;
- არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი; ან
- ფინანსურ დაწესებულებას ეჭვი ეპარება ადრე მოპოვებული საიდენტიფიკაციო მონაცემების უტყუარობასა თუ ადეკვატურობაში.

ამავე დროს, მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების ღონისძიებები მხოლოდ მისი ვინაობის დადგენით არ შემოიფარგლება. საფინანსო დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია დაგევემილი საქმიანი ურთიერთობის მიზნებისა და ხასიათის შესახებ. გარდა ამისა, დაწესებულებამ მთელი ამ ურთიერთობების მანძილზე მუდმივად უნდა აწარმოოს სათანადო გულმოდგინების ღონისძიებები საქმიან ურთიერთობათა მიმართ და გარიგებათა შემოწმება, რათა უზრუნველყოს, რომ განახორციელებული გარიგებები შეესაბამება დაწესებულების მიერ მომხმარებელზე შექმნილ წარმოდგენას (ცოდნას), მის ბიზნესისა და რისკის პროფილს და, საჭიროების შემთხვევაში, სახსრების წყაროს.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ ახორციელებს მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და სათანადო გულმოდგინების სხვა ღონისძიებებს, მან არ უნდა გახსნას ანგარიში, არ დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა და არ განახორციელოს გარიგებას; შეწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა და განიხილოს საკითხი საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.²³

მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების ზოგადი რეჟიმის ჩამოყალიბების შემდგომ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის შექება რამდენიმე საკითხს, რომლებიც ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მოწესრიგებას საჭიროებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა ფულის გათეთრების საქმეთა გამოძიებებმა, შესაბამისმა კვლევებმა და შესწავლამ ცხადყო, რომ ყველა ეს საკითხი ფულის გათეთრების კუთხით მეტად მაღალი რისკის მატარებელია, ხოლო მათი საწინააღმდეგო ღონისძიებები არაადეკვატური.

პირველ რიგში, ეს არის ე.ნ. პოლიტიკურად ანგაუირებულ პირთა (*politically exposed person*)²⁴ საკითხი. კორუფციისა და სახელმწიფო სახსრების პოროგად გამოყენების შედეგად მაღალი

²² FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის განმარტებითი შენიშვნების მე-5 რეკომენდაციის განმარტებითი შენიშვნის თანახმად, ეს ზღვარი შეადგენს 15 000 ევროს/აშშ დოლარს.

²³ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003) მე-5 რეკომენდაცია.

²⁴ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003) განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „პოლიტიკურად ანგაუირებული პირი“ – ესა პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს, ან წარსულში ჰქონდა დაკისრებული მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციები სხვა ქვეყანაში, მაგ., სახელმწიფოს მეთაურები, გამოქმნილი პოლიტიკური

საკანონმდებლო სიახლეები

თანამდებობის პირთა ხელში დაგროვილი დიდქალი ქონება, როგორც წესი, უცხოეთში გადაიგზავნება და ინილბება კერძო კომპანიების, ტრასტებისა და ფონდების მეშვეობით, აგრეთვე ახლო ნათესავებისა და მეცნიერების სახელების ქვეშ. კორუუფია და შემდგომ ამ გზით შეძენილი ქონების ლეგალიზაცია სერიოზულ სოციალურ ზიანს აყენებს ქვეყნებს, რომელთა უმეტესობაც შედარებით დარიბია; აგრეთვე სხვადასხვა სახის საფრთხეს (მაგ. რეპუტაციული რისკი) უქმნის ქვეყნის ბანკებსა და საფინანსო სისტემას, რომელთა მეშვეობითაც ხდება ამ სახსრების განვარგვა.²⁵ სწორედ ამით არის განპირობებული FATF-ის მიერ პოლიტიკურად ანგაუირებულ პირებთან მიმართებით გულმოდგინების გამკაცრებული მოთხოვნების დაწესება. კერძოდ, საფინანსო დაწესებულებებმა, მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების ღონისძიებებთან ერთად ამ კატეგორიის პირთა მიმართ უნდა განახორციელოს შემდეგი ზომები:

– დაწესებულებას უნდა ჰქონდეს რისკის მართვის სათანადო სისტემა, რათა განსაზღვროს, არის თუ არა მომხმარებელი პოლიტიკურად ანგაუირებული პირი.

– ამ კატეგორიის მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების საკითხს უნდა წყვეტდეს დაწესებულების უმაღლესი ხელმძღვანელობა.

– დაწესებულებამ უნდა მიიღოს გონივრული ზომები ქონებისა (სიმდიდრის) და სახსრების წყაროს დასადგენად.

– დაწესებულებამ უნდა განახორციელოს საქმიანი ურთიერთობების უფრო დახვეწილი მიმდინარე მონიტორინგის.²⁶

როგორც დეფინიციიდან²⁷ ჩანს, გულმოდგინების გამკაცრებული რეჟიმის გამოყენება პირდაპირ რეკომენდებულია იმ პოლიტიკურად ანგაუირებულ პირთა მიმართ, რომლებიც უცხო ქვეყნის წარმომადგენლები არიან, თუმცა FATF-ი მიესალმება ქვეყნების ინიციატივას – ეს რეჟიმი გაავრცელონ აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციებს ასრულებენ მათსავე ქვეყანაში.²⁸

შემდეგი საკითხი, რომელსაც FATF-ის ორმოცი რეკომენდაცია მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და საფინანსო დაწესებულებებს დამატებით ვალდებულებებს აკისრებს, უკავშირდება ტრანსასაზღვრო საბანკო-საკორესპონდენტო ურთიერთობებს. მომხმარებლის იდენტიფიკაციის ჩვეულებრივ ღონისძიებათა გარდა საფინანსო დაწესებულებამ დამატებითი ინფორმაცია უნდა მოიპოვოს რესპონდენტიდან დაწესებულებისა და მისი საქმიანობის შესახებ; საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოიძიოს ინფორმაცია დაწესებულების რეპუტაციისა და ზედამედველობის ხარისხის შესახებ; შეაფასოს დაწესებულების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კონტროლის მექანიზმები და სხვ.²⁹

დაბოლოს, FATF-ის ორმოცი რეკომენდაცია შეეხება მომსახურებათა ახალდა განვითარებად ტექნოლოგიებს, რომლებიც მომხმარებლის ანონიმურობას უწყობენ ხელს.³⁰ ეს უკანასკნელი მოიცავს მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებას თუ გარიგების განხორციელებას მისი ფიზიკურად დასწრების გარეშე (non face-to-face გარიგებები). საფინანსო სექტორის სწრაფი განვითარება,

სები, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისა და სამხედრო მაღალი თანამდებობის პირები, სახელმწიფო საკუთრებები მყოფი სანარმოების მაღალი აღმასრულებელი პირები, მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიების ხელმიძღვნელები. საქმიანი ურთიერთობები პოლიტიკურად ანგაუირებულ პირთა ოჯახის წევრებთან ან ახლობლებთან (მეცნიერებთან, პარტიონორებთან) ისეთივე რეპუტაციული რისკის მატარებელია, როგორც ურთიერთობები თავად პოლიტიკურად ანგაუირებულ პირებთან. ეს დეფინიცია მიზნად არ ისახავს, მოიცავს ზემოაღნიშებულ კატეგორიები შემავალი საჭალო ან დაბალი რანგის თანამდებობის პირები.

²⁵ FATF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი – „ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა“, 2002, 12.

²⁶ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003) მე-6 რეკომენდაცია.

²⁷ იხ. 24-ე სქოლი.

²⁸ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის განმარტებითი შენიშვნები, მე-6 რეკომენდაციის განმარტებითი შენიშვნა.

²⁹ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003) მე-7 რეკომენდაცია.

³⁰ FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის (2003) მე-8 რეკომენდაცია.

საკანონმდებლო სიახლეები

რასაც თან ერთვის მზარდი ტექნოლოგიური პროგრესი, საშუალებას აძლევს დაწესებულებებს, გაუნიონმომხმარებლებს მომსახურება, მათი ფიზიკურად დასწრების გარეშე, მაგალითად, ინტერნეტის, ბანკომატის, სატელეფონო საბანკო მომსახურებისა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული სახის მომსახურებები სულ უფრო მასშტაბურ სახეს იძენს და ვინაიდან ასეთ ავტომატიზებულ და დემატერიალიზებულ ოპერაციებს სისწრაფე, ხელმისაწვდომობა და ნაკლები გამჭვირვალეობა ახასიათებს, ეს ფულის გათეთრების ხელსაყრელს მშეალებად შეიძლება იქცეს. ასეთი ტიპის გარიგებები განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია და აუცილებელია სპეციალური ადეკვატური ზომების მიღება მათთან დაკავშირებული ფულის გათეთრების მაღალი რისკის თავიდან აცილებისათვის. ეს ზომები შეიძლება სხვადასხვა სახის ღონისძიებებით გამოიხატოს, მაგ.: ყველა ახალი კლიენტისათვის, რომელიც განსაზღვრულ კატეგორიაში ექცევა (მაგალითად, რომელთა აქტივებიც გარკვეულ ზღვარს აღემატება ან ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეთათვის, რომელიც ფულის გათეთრების მაღალი რისკის ზონადაა მიჩნეული), დაწესდეს იდენტიფიკაციისათვის მათი ფიზიკურად დასწრების მოთხოვნა; შემუშავდეს სრულყოფილი კოხვარი ანგარიშის განცხადების ფორმით, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას, მეტი ინფორმაცია მიიღოს მომხმარებლის შესახებ და სხვ.³¹

მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების გამოჩენის ვალდებულება ეკისრება, აგრეთვე, არასაფინანსო დაწესებულებებს, ამასთან, კაზინოების, ძვირფასი ქვებითა და ლითონებით მოვაჭრეთა შემთხვევაში ეს ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა გარიგების თანხა დადგენილ ზღვარზე მეტია. FATF-ის მიერ დადგენილი ზღვარი კაზინოებისთვის შეადგენს 3 000 ევროს/აშშ დოლარს, ხოლო ძვირფასი ქვებითა და ლითონებით მოვაჭრეთათვის 15 000 ევროს/აშშ დოლარს.

FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების შესახებ დებულებათა მიმოხილვის ფონზე აშკარაა, რომ კანონის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული პირის იდენტიფიკაციის ვალდებულება (რომელიც თავისთავად ძალზე ბუნდოვანია), თუ მას თან არ დაერთო ყველა ის ზემოაღნიშნული ღონისძიება, რომელიც დაწესებულების მიერ მომხმარებლის უკეთ გაცნობას უზრუნველყოფს, არასრულფასოვანია და ვერ გამოიღებს საჭირო შედეგს.

5. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგება

კანონის მე-5 მუხლი მოიცავს მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებასთან დაკავშირებულ დებულებებს. იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგება, პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ მონიტორინგის ცნების შინაარსი. კანონში მოცემული დეფინიციის თანახმად, მონიტორინგი არის ღონისძიებათა ერთობლიობა, დაწყებული გარიგებაში მონაწილე პირის იდენტიფიკაციით და დამთავრებული საეჭვო გარიგების შესახებ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ანგარიშების წარდგენით.

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ გარიგებაზე მონიტორინგის რეჟიმი გავრცელდეს, საჭიროა რამდენიმე გარემოების თანხვედრა, კერძოდ, 1. გარიგების ფასი უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ ზღვარს (ნაღდი ანგარიშს წორების შემთხვევაში ეს ზღვარი შეადგენს 20 000 ლარს, ხოლო უნაღდოს შემთხვევაში – 40 000 ლარს); 2. იგი უნდა იყოს საეჭვო და 3. უნდა წარმოადგენდეს კანონით გათვალისწინებულ გარიგებათაგან ერთ-ერთს. შედეგად ჩვენ მივიღებთ სიტუაციას, როდესაც მონიტორინგის (და შესაბამისად ანგარიშების წარდგენის) ვალდებულება არ გავრცელდება გარიგებაზე, რომელიც საეჭვოა, მიეკუთვნება კანონით დადგენილ სტანდარტულ გარიგებათაგან რომელიმეს, მაგრამ მისი ფასი კანონით დადგენილ ზღვარზე ნაკლებია; ან ისეთ გარიგებაზე, რომლის ფასი კანონით დადგენილ ზღვარზე მეტია, იგი საეჭვოა, მაგრამ არ განეკუთვნება გარიგებათა იმ სახეობებს, რომელთაც კანონი ითვალისწინებს.

³¹ FATF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი „ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა“, 2002, 17-18.

საკანონმდებლო სიახლეები

აშეკარაა, რომ კანონი გაუმართლებლად ავიწროებს გარიგებათა იმ წრეს, რომელზეც მონიტორინგის ვალდებულება უნდა ვრცელდებოდეს და შესაძლებლობას უტოვებს ფულის გამოთრებლებს, სხვადასხვა ხრიეთ ნარმატებულად აარიდონ თავი მონიტორინგის ღონისძიებებს, მაგალითად, უკანონო შემოსავლების დანაწევრებისა (*structuring*) და მათი სხადასხვა დაწესებულებაში გადანაწილების გზით ისე, რომ არ იქნეს მიღწეული მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებისათვის დადგენილი ზღვარი. ამდენად, ჩვენი აზრით, გარიგების საეჭვო ხასიათი უნდა იყოს ის ერთადერთი აუცილებელი კრიტერიუმი, რომელზეც მონიტორინგის ვალდებულების წარმოშობა იქნება დამოკიდებული.³²

ამ კონტექსტში საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება – კანონში მოცემული მონიტორინგის ტერმინის დეფინიციიდან ჩანს, რომ მონიტორინგის პროცედურის საწყისი ეტაპი პირის იდენტიფიკაციაა. ამდენად, იდენტიფიკაციის ვალდებულება წესრიგდება კანონის ორი სხვადასხვა მუხლით, რომლებიც ამ ვალდებულების წარმოშობის ორ სხვადასხვა საფუძველს განსაღვრავენ: ერთ შემთხვევაში – ეს არის პირთან საქმიანი ურთერთობების დამყარება, ხოლო მეორე შემთხვევაში – გარემოებათა ერთობლიობა (გარიგების ფასი, სახეობა და საეჭვო ხასიათი). შედეგად ვიღებთ იდენტიფიკაციის პროცედურის განმეორებას (მაგ. პირი, რომლის იდენტიფიცირება ერთხელ უკვე მოხდა შესაბამის დაწესებულებასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას, კანონის მე-6.1 მუხლის საფუძველზე კვლავ უნდა დაექვემდებაროს იდენტიფიკაციის პროცედურას, თუ გარიგება, რომელსაც იგი ახორციელებს, მე-5.1 მუხლის კრიტერიუმებში ჩავდა), როდესაც პირველად ჩატარებული ინდენტიფიკაცია აზრის კარგავს. ამის ნაცვლად, საჯებით ლოგიკური იქნებოდა, იდენტიფიკაციის ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების განსაზღვრისას (და არა მონიტორინგის კონტექსტში, რომლის საბოლოო და აუცილებელი ეტაპიც ანგარიშების წარდგენაა) გამიჯნულიყო ისეთი საფუძვლები, როგორიცაა საქმიანი ურთიერთობების დამყარება და ერთჯერადი გარიგების განხორციელება. ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში იდენტიფიკაციის ვალდებულების წარმოშობა გარიგების ფასზე ყოფილიყო დამოკიდებული, როგორც ეს FATF-ის ორმოცირებულენდაციის მე-5-რეკომენდაციაშია მოცემული.

გაუგებრობას ინვენტურის კანონის მე-9.1 მუხლიც, რომლის თანახმადაც: „თუ მონიტორინგის განხორციელებისას მონიტორინგის განმახორცილებელ პირებს გაუწინდებათ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მონიტორინგის დაქვემდებარებული გარიგება საეჭვოა... ისინი ვალდებული არიან წერილობით აცნობონ ეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს“. თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონის მე-5.1 მუხლის თანახმად, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგება უკვე თავისთავად საეჭვოს გულისხმობს, გაუგებარია, რა საეჭვოპაზეა საუბარი მე-9.1 მუხლში, და რომ არა გარიგების საეჭვოობა, მონიტორინგის პროცედურა ხომ საერთოდ არ განხორციელდებოდა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ მუხლით ადგილი აქვს ტერმინოლოგიურ უზუსტობას და მონიტორინგის ნაცვლად კანონმდებლმა იდენტიფიკაციის პროცედურა იგულისხმა. კანონში, სადაც ყოველა სიტყვას უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დატვირთვა აქვს, ამგვარი ლაფსუსები სრულიად გაუმართლებელია.

6. კონფისკაცია

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პრევენციული კანონმდებლობა თავის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციასა და მიზანს ვერ განახორციელებს, თუ არ არსებობს დანაშაულებრივი ქონების კონფისკაციის მექანიზმი. სტრასბურგის კონვენციის, ისევე როგორც FATF-ის ორმოცირეკომენდაციის თანახმად, ქვეყნებმა უნდა მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა აუცილებელი ზომები, რომლებიც საშუალებას მიცემს მათ, მოახდინონ საგნისა და შემოსავლის, ან ამ შემოსავლის შესაბამისი მატერიალური ფასეულობების კონფისკაცია. კონფისკაციის მიზანი კანონიერების

³² ამას ითვალისწინებს როგორც FATF-ის ორმოცირეკომენდაციის მე-13 რეკომენდაცია, ისე ევროპული კავშირის დირექტივის მე-3.8 მუხლი.

საკანონმდებლო სისტემა

აღდგენაა – დამნაშავეს, რომელსაც არანაირი კანონიერი უფლება არ გააჩნია შესაბამის ქონებაზე, უნდა ჩამოერთვას იგი. ამდენად, მიზანშენონილია, ფულის გათეთრების დანაშაულის კონტექსტში საფუძვლიანად გადასისნჯოს ჩვენი კანონმდებლობით განსაზღვრული ქონების დაყადალებისა და კონფისკაციის რეჟიმი საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კონფისკაციას, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ჩვენთან კონფისკაცია იგივდება კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლების დარღვევასთან, რაც არსებითად არსწორი მიდგომაა. სასჯელის ეს ფორმა გულისხმობს მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევას და ვრცელდება მხოლოდ დამნაშავის ქონებაზე. კონსტიტუცია არ იცავს უკანონო შემოსავალს და ეს უკანასკნელი არ ჩაითვლება საკუთრებად, თუნდაც მოხდეს მისი „გათეთრება“, რადგან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დანაშაულია და ამ გზით შეძენილი ქონებაც არ არის საკუთრება, რომელზე უფლებასაც იცავს კანონი.

საბჭოთა კავშირში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ე.წ აბსოლუტური კონფისკაცია უნდა გავმიჯნოთ კონფისკაციისაგან, რომელზეც აქ არის საუბარი. მაშინ კონფისკაცია იყო დამატებითი სასჯელი, რომელიც ეხებოდა საკუთრებას, მიუხედავად მოპოვების წყაროსა (კანონიერი გზით იყო შეძენილი თუ უკანონოთი) და ოდენობისა (ქონების სრული კონფისკაცია). ამასთან, ამ ზომის გამოყენება შესაძლებელი იყო ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც შინაარსობრივად არანაირ კავშირში არ იმყოფებოდა დამნაშავის შემოსავალთან, ქონებასთან. დღეს კონფისკაცია გამოყენება მხოლოდ ეკონომიკური დანაშაულისათვის (მათ შორის სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის დაფინანსებასთან) და ეხება ქონების მხოლოდ იმ ოდენობას, რომელიც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

7. იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა

ფულის გათეთრების სუბიექტების განხილვისას არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ აღნიშნული დანაშაული მეტნილად იურიდიული პირების მეშვეობით ხორცილებება. იურიდიული პირი, ანუ ერთგვარი „იურიდიული ფიქცია“, თანამედროვე მსოფლიოში ვითარდება და მეტ მნიშვნელობას იძენს. ამა თუ იმეკონომიკური (მათ შორის დანაშაულებრივი) მიზნის მისაღწევად ხშირად ადამიანები არჩევენ, გააერთიანონ ძალისხმევა და ქმნიან კორპორაციულ წარმონაქმნეს, იურიდიულ პირს. მსოფლიოში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი სუბიექტები სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოებები – იურიდიული პირები არიან. შესაბამისად, სახელმწიფოთა კანონმდებლობები დეტალურად შეისწავლის მათ და როგორც უფლებრივად, ისე მოვალეობების თვალსაზრისით, უთანაბრებს ფიზიკურ პირებს. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან თავისი ნამდვილი შინაარსით იურიდიული პირი მხოლოდ ქაღალდზე არსებული სამართლებრივი დეფინიცია კი არ არის (როგორც, მაგალითად, „ქმედუნარიანობა“ ან „უფლება-უნარიანობა“), არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტია. შესაბამისად, მისისამართლებრივი ურთიერთობები ფიზიკური პირისას ემსგავსება. მაგალითად, იურიდიული პირი იქმნება ადამიანთა ურთიერთობის შედეგად, შეუძლია შექმნას სხვა იურიდიული პირები, შესაძლებელია იურიდიული პირის ლევიდაციაც და, ალბათ, არ იქნებოდა სწორი იმის გამორიცხვა, რომ იურიდიული პირი შესაძლოა ჩადიოდეს დანაშაულს. იურიდიულ პირს აქვს საკუთარი უფლებები, მოვალეობები და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობა. მოვალეობების შეუსრულებლობის ანდა სხვისი უფლებების დარღვევისათვის იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გავრცელებული იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან ერთად, უპირატესად საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში (გაერთიანებული სამეფო, აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა), არსებობს, აგრეთვე, იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობაც. პასუხისმგებლობის ასეთი ფორმა

საკანონმდებლო სიახლეები

„დაწერილი“ სამართლის ქვეყნებშიც იკიდებს ფეხს, მაგრამ არსებობს წინააღმდეგობები, რომელიც თვით სამართლებრივი ტექნიკითაა გამოწვეული და არა საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის მიუღებლობით. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს მოაზროვნე არსება და შეუძლებელია, მის ქმედებაში არსებობდეს ბრალის ელემენტი (პირის მენტალური დამოკიდებულება ქმედების მიმართ – განზრახვა, გაუფრთხილებლობა), რომ მისი ქმედებისათვის პასუხს აგებენ მის უკან მდგომი ადამიანები. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მისი წევრების პასუხისმგებლობას ბრალის მოცულობის შესაბამისად, მაგრამ ფორმალურად, თუნდაც იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ პასუხისმგებლობა უნდა იყოს განხორციელებული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური, თავად იურიდიულ პირსაც უნდა დაეკისროს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის საკმარისი და არ შეესატყვისება პასუხისმგებლობის დანიშნულებას, როგორც ფორმალური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. იმის გარდა, რომ სისხლისამართლებრივი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა უნდა მოხდეს მხოლოდ სისხლის სამართლის წესით, ჩვენს შემთხვევაში სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ უზრუნველყოფს საერთო სამართლიანობის აღდგენას, რაც უნდა იყოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი მიზანი.

როდესაც ხდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და ადამიანები დანაშაულს ჩადიან იურიდიული პირის სახელით, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ისინი იყენებენ ამ იურიდიულ პირს თავისი პირადი მიზნების მისაღწევად. ხშირად ასეთი ქმედების რეზულტატით თავად იურიდიული პირია დაინტერესებული და მისი წევრები მხოლოდ თანამონაწილეები, თანაამსრულებლები არიან. იურიდიულ პირს აქვს საკუთარი ქონება და ქონებრივი ვალდებულებები, რომელთაც ვერ შეეხება მისი თანამშრომლის ქონებრივი პასუხისმგებლობა. შედეგად, თუ იურიდიული პირი დაკავებულია დანაშაულებრივი საქმიანობით და აქედან იღებს უკანონო შემოსავალს, მხოლოდ მისი თანამშრომლის პასუხისმგებლობა ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენას. უკანონო ქონება იურიდიულ პირს რჩება და შესაძლოა, იგი კვლავ დანაშაულში რეინვესტირდეს.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა და მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდანაშაულად აცხადებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. ამ დანაშაულის სუბიექტი ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირიც უნდა იყოს. იურიდიულ პირს აქვს საკუთარი შემოსავალი, რომელიც სამართლებრივადაა გამიჯნული ფიზიკური პირის შემოსავლისაგან. იგი შეიძლება იყოს უკანონოც. ამ შემთხვევაში, კანონიერ სახეს აძლევს რა უკანონო ქონებას, ფორმალურად იურიდიული პირი ჩადის დანაშაულს და, შესაბამისად, უნდა დადგეს მისი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადამიანები, რომელიც იურიდიული პირის უკან დგანან, პასუხს აგებენ დანაშაულში თავიანთი წვლილის ფარგლებში, მაგრამ თითოეულის წვლილი შესაძლოა, ძალიან პირობითი იყოს და შემოიფარგლებოდეს სხვა დანაშაულის შემადგენლობით. ამასთან, ეკონომიკური დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დროს უმნიშვნელოვანესია ქონებრივი პასუხისმგებლობა. მოცემულ შემთხვევაში, ფიზიკური პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა არ გვაძლევს სასურველ შედეგს, იგი არ არის ადეკვატური ზომა დანაშაულის მიმართ და არც შეიძლება იყოს, რადგან პირი ვერ აგებს პასუხს სხვისი (იურიდიული პირის) ქონებით. დანაშაულებრივ შემოსავალს იღებს იურიდიული პირი (მაგალითად ბანკი, რომელიც საპაკის მეშვეობით ახდენს „ფულის გათეთრებას“ და აქვს შესაბამისი მოგება) და ამ შემოსავლის კონფისკაციისათვის აუცილებელია, იგი იყოს სისხლის სამართლის დანაშაულის სუბიექტი.

აქ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, არსებობს თუ არა იურიდიული პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა, კერძოდ მისი მენტალური ელემენტი (ბრალი – განზრახვა ან გაუფრთხილებლობა). სამოქალაქო სამართალში ეს საკითხი მოგვარებულია, ანუ იურიდიულ პირს აქვს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, მას შეუძლია, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ქმედების მნიშვნელობა, დადოს გარიგებები, რომელთა შესრულებაზეც დამოუკიდებლადაა პასუხისმგებელი. ასეთი მიდგომა,

საკანონმდებლო სიახლეები

რა თქმა უნდა, პირობითია. იურიდიულ პირს არ აქვს ცალკე გონება, როგორც ადამიანს – მის გონებად მოიაზრება წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ მესამე მხარის მიმართ ამ ორგანის წევრ(ებ)ის (ფიზიკური პირ(ებ)ის) პასუხისმგებლობა არ დგება. იურიდიული პირი თავად აგებს პასუხს მისი „გონების“ ბრალით განხორციელებული ქმედებისათვის. საკითხი უფრო რთულად დგას სისხლის სამართალში. ქვეყნებში, სადაც არსებობს იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, განსხვავებული თეორიები არსებობს ბრალის საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობით კომპანია პასუხისმგებელია კომპანიის იურისდიქციის ფარგლებში განხორციელებული მისი ყველა მუშავის ბრალეულ ქმედებაზე (*respondent superior*). ინგლისში სხვაგვარი მიდგომაა, კერძოდ კომპანია პასუხს აგებს არა ყველა თანამშრომლის, არამედ მხოლოდ იმ კონკრეტული პასუხისმგებელი თანამდებობის პირების ბრალეული ქმედებისათვის, რომლებიც კომპანიის „გონებად“ მოიაზრებიან. არსებობს, აგრეთვე, თანამდებობები რომლებიც იურიდიული პირის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების დამკვიდრებულ პრაქტიკას (ავსტრალია) და ა.შ.

მოცემული მსჯელობა ფორმალური ხასიათისა და ეს ბუნებრივია, – იგი არსებულ რეალობას ეფუძნება. თავად იურიდიული პირიც ხომ ხელოვნური სამართლებრივი წარმონაქმნია, რომელიც ეკონომიკური ურთიერთობების გასამარტივებლად ფორმალური მსჯელობის საფუძველზე შეიქმნა. შესაბამისად, იურიდიული ფიქციის დანაშაულებრივი ქმედების (რომელიც რეალურად არსებობს ცხოვრებაში) კონტროლმად ასევე ფორმალური სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღებაა საჭირო.

დღეისათვის უკვე ძალაშია საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები, რომლებიც ითვალისწინებენ იურიდიული პირების პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით. ამის აუცილებლობა განპირობებულია იმ დანაშაულის სპეციფიკითა და მისი აღკვეთის თავისებურებით, რომლისთვისაც წესდება იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. ძირითადად ასეთი დანაშაულებია: ტერორიზმის ფინანსური მხარდაჭერა, ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა, უკანონო ქონების ლეგალიზაცია („ფულის გათეთრება“), ადამიანებით ვაჭრობა („ტრეფიკინგი“), მექრთამეობა საერთაშორისო ბიზნეს-გარიგებებიდა სხვა ქმედებები, რომლებიც დანაშაულებრივ ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და საერთაშორისო მასშტაბებს მოიცავს. ეს საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოსთვისაც (თუნდაც მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით) აქტუალურია და მინიშვნელოვანია, თუ როგორ მოხდება მათი იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

ასეთ დანაშაულში მთავარია ფინანსური სანქციები. სწორედ ამ ფორმით უნდა მოხდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. ფიზიკური პირების მიმართ გამოყენებული ტრადიციული სანქციები (თავისუფლების აღკვეთა ან თუნდაც ქონების ჩამორთმევა) ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის აღკვეთას. უკანონო ქონება კვლავ იურიდიული პირების გამგებლობაში რჩება, ადამიანებს ცვლიან სხვა ადამიანები, სისტემა კი აგრძელებს მუშაობას. იმისათვის, რომ მოხდეს დანაშაულებრივი კომპანიების შესუსტება და მათი საქმიანობის საბოლოოდ აღკვეთა, აუცილებელია ამ უკანონო კაპიტალის კონფისკაცია. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ სისხლისამართლებრივი ზომაა და მისი განხორციელება შეუძლებელია სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით.

ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა ამ კონვენციებს, შეეცადა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით მოეხდინა ასეთი კომპანიებთან ბრძოლა, მაგრამ ადმინისტრაციული ჯარიმისათვის დამასასიათებელია ზუსტად დადგენილი ოდენობრივი ფარგლები. შესაბამისად, შეუძლებელია ამ წესით დანაშაულებრივი შემოსავლების ჩამორთმევა, რადგან დანაშაულებრივი შემოსავალი გაცილებით უფრო დიდია და ადმინისტრაციული ჯარიმა (მაგალითად, მინიმალური ხელფასის ათმაგი ან თუნდაც ასმაგი ოდენობა) ვერ იქნება ადეკვატური ზომა მის წინააღმდეგ. ამიტომ კონტინენტური ევროპის ქვეყნებიც თანდათან იძულებული ხდებიან, შემოიღონ არსებული სამართლებრივი სისტემისათვის უჩვეული ინსტიტუტი – იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საკანონმდებლო სიახლეები

დანაშაულებრივი შემოსავლების ან ადეკვატური ქონების კონფისკაცია, რაც ახასიათებს ასეთ პასუხისმგებლობას, ყველაზე ეფექტური ზომაა ორგანიზებული დანაშაულის ამგვარ გამოვლინებასთან ბრძოლისათვის. ოურიდიული პირების ლიკვიდაციაც კი ვერ უზრუნველყოფს სასურველ შედეგს ქონების კონფისკაციის გარეშე. ლიკვიდაციის შემთხვევაში, კომპანიის ქონება ხვდება არა სახელმწიფო (საჯარო) ფონდებში, არამედ კვლავ კომპანიის პარტნიორების, აქციონერების საკუთრებაში გადადის, რაც გარკვეულილად მისი ლეგალიზაცია, ანუ ახალი დანაშაულია.

8. დასკვნა

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიღებაზე უდავოდ პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. თუმცა კანონში არსებული ხარვეზები, რომლებსაც, ალბათ, პრაქტიკაც დაადასტურებს, შემდგომი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, კერძოდ, მომხმარებლისადმი სათანადო გულმოდგინების პრინციპები, მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებათა კრიტერიუმების მოუქნელობა, დამატებითი სამართლებრივი ბარიერების არარსებობა და არაადეკვატური ზედამხედველობა, რაც ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის შესაბამისი სექტორების გაფილტვრას დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენელთაგან და სხვ., ეს ის საკითხებია, რომლებიც აუცილებელ გადახედვასა და შესაბამის რეგულირებას საჭიროებენ. ფულის გათეთრების სანინააღმდეგო ეროვნული რეჟიმი საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს იმისათვის, რათა შეძლოს ფულის გათეთრების ახალი მეთოდების გამოვლენა და მათზე რეაგირება. მითუმეტეს პრაქტიკაც ხადყოფს, რომ ფულის გამთეთრებლები დიდი ფანტაზის უნარს ავლენენ ახალი სექტორის შემუშავებაში, რათა თავი აარიდონ კანონით დადგენილ მექანიზმებს.

ფულის გათეთრების აღმკვეთმა ღონისძიებებმა ქმედითი და ეფექტიანი ხასიათი რომ შეიძინოს, ძალზე მნიშვნელოვანია ამ ფენომენის სათანადოდ გაცნობიერება, როგორც ხელისუფლების ორგანოთა, ისე კერძო სექტორის მხრიდან. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ კადრების სათანადოდ სწავლება-მომზადებას, რომელთაც კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ფუნქციის განხორციელება დაეკისრებათ.

ამასთან, არ შეიძლება ყურადღება არ შევაჩიროთ კონფისკაციისა და იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხზე, რომელიც თუმცა წინამდებარე კანონის მონესრიგების სფეროში არ ექცევა, მაგრამ ფულის გათეთრების აღმკვეთი რეჟიმის კონტექსტში უდავოდ პრინციპულია. არ შეიძლება იმ მოსაზრების მხარდაჭერა, რომ ნაადრევია საქართველოში ისეთი ახალი ინსტიტუტების შემოღება, რომლებიც თვით დიდი სამართლებრივი ტრადიციების ქვეყნებშიც ახლა მკვიდრდება. იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მართლაც ფორმალობა იქნება კონფისკაციის გარეშე, შესაძლოა, დღეს საქართველოში უფრო აქტუალური იყოს, ვიდრე გერმანიასა თუ საფრანგეთში. ამასთან, ასეთი ინსტიტუტის დანერგვით გადაიღახება ის სამართლებრივი ნინააღმდეგობა, რომელიც აფერხებს საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას. ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის, ფულის გათეთრების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ქონების დაყადალებისა და კონფისკაციის შესახებ ეროვნის საბჭოს კონვენციის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპიული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ კონვენციისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ გამოხატული პოლიტიკური ნება, აღებული ვალდებულება, პირველ რიგში, სამართლებრივ უზრუნველყოფას საჭიროებს. მით უფრო, რომ იურიდიული პირების დანაშაულებრივი საქმიანობა უკვე არა მხოლოდ მოსალოდნელი საფრთხეა, არამედ არსებული რეალობა.